ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 137

27 აპრილი
"---"---------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა №34-ში (საკადასტრო კოდები: №01.17.11.034.067; №01.17.11.034.069; №01.17.11.034.068) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 07 აპრილის №21.447.510 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა №34-ში (საკადასტრო კოდები: №01.17.11.034.067; №01.17.11.034.069; №01.17.11.034.068) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე ms.gov.ge რეგისტრირებული №0121034432-67 (№01210741697-67; №01210828210-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

განკარგულება - N 21.447.510
7 / აპრილი / 2021 წ.

ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა N34-ში (საკადასტრო კოდები: N01.17.11.034.067; N01.17.11.034.069; N01.17.11.034.068) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 3 თებერვლის N0121034432-67 (N01210741697-67; N0121082810-67) განცხადებით მიმართა კონსტანტინე ურუშაძემ (პ/ნ 01008050556) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა N34-ში (საკადასტრო კოდები: N01.17.11.034.067; N01.17.11.034.069; N01.17.11.034.068) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, წულაძის ქ. N34-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის მიმდებარედ (საკადასტრო კოდები: N01.17.11.034.067; N01.17.11.034.069; N01.17.11.034.068). სატრანსპორტო წვდომა ხორციელდება ბერი გაბრიელ სალოსის გამზირიდან. საპროექტო ტერიტორიას აღმოსავლეთით ესაზღვრება რაგბის მოედნები, სამხრეთით საპატრიარქოს კუთვნილებაში არსებული მიწის ნაკვეთები, დასავლეთიდან სკოლა-გიმნაზია „შავნაბადა", ჩრდილოეთიდან კი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანება. ტერიტორიაზე, ჩრდილოეთ ნაწილში, მდებარეობს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" ბალანსზე არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელი, აღნიშნულ ქსელთან მიმართებაში საპროექტო წინადადება შეთანხმებულია შესაბამის უწყებასთან.

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). გამწვანებული ტერიტორიების რუკით კი, ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება.

,,ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა N34-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.11.034.069; N01.17.11.034.067; N01.17.11.034.068) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 დეკემბრის N409 განკარგულებით დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმით ხდება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული სამი საკადასტრო ერთეულის (N01.17.11.034.069; 01.17.11.034.067; 01.17.11.034.068) გაერთიანება, არსებული ფუნქციური ზონირების სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) და საპროექტო ტერიტორიის განვითარება ზონის შესაბამისი ფუნქციებით, კერძოდ, განაშენიანება ხდება საშუალო ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსით. ტერიტორიაზე განთავსდება 8 სართულიანი, 6 საცხოვრებელი შენობა (A ბლოკი, B ბლოკი, C ბლოკი, D ბლოკი, E ბლოკი და F ბლოკი). განაშენიანების რეგულირების გეგმით მიწის ნაკვეთის დეტალური რეგლამენტით ასევე ნებადართულია საოფისე და კომერციული ფუნქციების განხორციელება. ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სტადიონის, გასართობი და სასეირნო სკვერების და გამწვანებული სივრცეების მოწყობა.

მაქსიმალური სიმაღლე/სართული - 8 სართული

საპროექტო კოეფიციენტები: კ1=0.4, კ2=2.1, კ3=0.3

არსებული ზონირება - სამრეწველო ზონა 1 (ს-1)

საპროექტო ზონირება - საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5)

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5^1 პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ)თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 29 მარტის N0121088759 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 18 მარტის N01210773270 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა N01.17.11.034.067; N01.17.11.034.068 და N01.17.11.036.069 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა N34-ში (საკადასტრო კოდები: N01.17.11.034.067; N01.17.11.034.069; N01.17.11.034.068) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „ე.ბ" ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე,

N0121034432-67 (N01210741697-67; N0121082810-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნეს ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა N34-ში (საკადასტრო კოდები: N01.17.11.034.067; N01.17.11.034.069; N01.17.11.034.068) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი ,კახა კალაძე

წერილის ნომერი: **01210773270**
თარიღი: **18/03/2021**
პინი: **4222**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 15 მარტის №01210741697-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩის №34-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 01.17.11.034.067; ს/კ 01.17.11.034.068; ს/კ 01.17.11.036.069; ფუნქციური ზონა: სამრეწველო ზონა 1; გამწვანებული ტერიტორიების რუკა: შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალები; საპროექტო ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 5) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **180 ძირი** მწვანე ნარგავი (**ს/კ 01.17.11.034.067 -** №1; №3; №6; №13-26; №103-107; №220; №290-291; №298; №339-343; №439-441; №1461; №1465; №2153; №2213-2214; №2335-2340; №2370; №2374; №2379-2383; №2436-2437; №2445; №2526-2537; №2543-2544; №2912; №4064; №4077-4078; №4096-4099; №4101-4110; №4114; №4116-4118; №4132-4140; №4143-4150; №4152; №4188; №4237-4249; №4253-4261; №4541-4560; №4581-4582; №4611; №4643; **ს/კ 01.17.11.034.068 -** №1458-1460; №1462-1464; №1466; №4014; №4595-4597; №4600-4607; №4616-4617; №4621-4622; №4627) მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული **180 ძირი** მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და თითოეულ საკადასტრო ერთეულზე მათი რაოდენობა არ აღემატება 15 ძირს, ხოლო დიამეტრი - 12 სმ-ს, მათი მოჭრა-გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

დამატებით გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი **1 ძირი კოლხური სურო** (**ს/კ 01.17.11.034.069** - №765); **1 ძირი გლედიჩია** (**ს/კ 01.17.11.034.068 -** №4599); **1 ძირი თეთრი ხვალო** (**ს/კ 01.17.11.034.067 -** №4071); **2 ძირი ამერიკული ნეკერჩხალი** (**ს/კ 01.17.11.034.067 -** №4065-4066); **2 ძირი ბოკვი** (**ს/კ 01.17.11.034.069 -** №841; №849); **2 ძირი ვარდი** (**ს/კ 01.17.11.034.067 -** №477-478); **3 ძირი იაპონური სოფორა** (**ს/კ 01.17.11.034.069** -№771-773); **3 ძირი იუკა** (**ს/კ 01.17.11.034.067 - №482; ს/კ 01.17.11.034.068 -** №1456-1457); **4 ძირი ძაღლმაყვალა** (**ს/კ 01.17.11.034.067 -** №292-293; №337; №2384); **4 ძირი იაპონური კვიდო** (**ს/კ 01.17.11.034.067 -** №1474; №4063; №4153; №4577); **5 ძირი ჩვეულებრივი კვიდო** (**ს/კ 01.17.11.034.067 -** №479-481; №483-484); **5 ძირი თუთუბო** (**ს/კ 01.17.11.034.067 -** №91-95); **12 ძირი ალვის ხე** (**ს/კ 01.17.11.034.067 -** №4067-4070; №4569-4576); **13 ძირი თუთა** (**ს/კ 01.17.11.034.067 -** №2; №2152; №2341; №4073-4076; №4095; №4100; №4142; №4640-4642); **26 ძირი ჩვეულებრივი სურო** (ს/კ 01.17.11.034.067 - №485; №2376; №2387-2397; №2438; №2539-2542; №2545-2546; №2670; ს/კ 01.17.11.034.069 - №766-770); **36 ძირი ცრუაკაცია** (**ს/კ 01.17.11.034.067 -** №265-267; №411-425; №506-522; №2538); **48 ძირი ოფი** (**ს/კ 01.17.11.034.067 -** №486-496; №2398-2420; №2422-2430; **ს/კ 01.17.11.034.069** - №774-778) და **241 ძირი ხემყრალა** (**ს/კ 01.17.11.034.067 -** №80; №122-128; №131-207; №256-260; №295; №395-407; №443; №2385-2386; №2431-2435; №2439-2444; №2507-2509; №3112-3114; №3405; №4113; №4179-4187; №4250-4252; №4262; №4271; №4489-4540; №4562-4568; №4628-4639; **ს/კ 01.17.11.034.068 -** №4015-4023; №4623-

4626; **ს/კ 01.17.11.034.069 -** №747-763; **ჯამში - 408 ძირი**) მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხს, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **427 ძირი მწვანე ნარგავის** დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვის შესაძლებლობა, დადგენილების 21-ე მუხლის 1^1 პუნქტისა და 21^2 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **427 ძირი** (**ს/კ 01.17.11.034.067 -** №294; №408; №410; №442; №523; №1475-1875; №2216; №2446; №4062; №4272-4273; №4561; **ს/კ 01.17.11.034.068 -** №1469; №4024; №4584-4593; №4598; №4609; **ს/კ 01.17.11.034.069 -** №746; №764) მწვანე ნარგავი, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

აქვე ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ 01.17.11.034.067 საკადასტრო ერთეულზე აღწერილი **6 ძირი ჯანსაღი კაკალი** (№8-12; №4072) და **20 ძირი ჯანსაღი თელა** (№1472-1473; №3406-3411; №4274-4281; №4612-4615) საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №190 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს „წითელი ნუსხის" თანახმად განეკუთვნება წითელი ნუსხის სახეობას.

დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, აღნიშნული წესი არ ვრცელდება ,,საქართველოს წითელი ნუსხისა'' და ,,წითელი წიგნის შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებული მწვანე ნარგავების მოპოვებაზე (ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული 26 ძირი ჯანსაღი მწვანე ნარგავის მოჭრის საკითხთან დაკავშირებით განმცხადებელმა უნდა მიმართოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (**არსებული:** 1 402 ძირი მწვანე ნარგავი, **გადასარგავი:** 427 ძირი მწვანე ნარგავი და **საპროექტოდ დასარგავი:** 2 ძირი იტალიური ფიჭვი; 5 ძირი უნგრული ცაცხვი, 6 ძირი საპნის ხე, 2 ძირი ამბრის ხე; 7 ძირი იფანი გრძელფოთოლა და 1 ძირი ხე-ტიტა, **ჯამში - 1852 ერთეული**) სრულად ითვისებს მინიმალური კ-3 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (**10 149 მ^2**).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, **სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა 01.17.11.034.067; 01.17.11.034.068 და 01.17.11.036.069 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **0121088759**
თარიღი: **29/03/2021**
პინი: **8119**

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

2021 წლის 23 მარტის N 0121082810-67 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა N 34-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.17.11.034.069, 01.17.11.034.067, 01.17.11.034.068) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2020 წლის 2 ნოემბრის N 012030515-67 განცხადების პასუხად N 01203072986 წერილით.

ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი



პროექტის მიხედვით ფუძეცილური ზონა არის საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5)

M E T R I C

L.T.D. METRIC

შპს "მეტრიკ", თბილისი ბ.აფაღიანაშვილის 23.
(+995 595) 20 71 40, (+995 551) 71 66 17

პირობითი აღნიშვნები

საპროექტო ტერიტორია

ტექნიკურ ექ. მაჩვენებელი

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
მენ. მრეკველი	კ.ჯორბენაძე	
აღმ. მრეკველი	ლ.ბაბინიძე	
ავტორი	კ.ჯორბენაძე	
მთავარი ავტორი	კ.ჯორბენაძე	
დამფუძნ.	კ.ჯორბენაძე	
მენეჯერი	ლ.ბაბინიძე	

დამკვეთი: შპს ფუძე

პროექტი: ბანაგვინავეთის რეკვეზირების გეგ.

ნახაზი: საპროექტო ფუნქციური ზონა

მისამართი: ქ.თბილისი, ჯორჯ ნელაძის #34

მასშტაბი	1:500	
თარიღი	02.02.2021	
სტადია	ფურცლების	ფურცლების
მ.პ	A-1	



არასასოფლო-სამეურნეო
მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპაქსი
პერიაპერიული ზონა
საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5)
სამშენებლო
საცხოვრებელი, საოფისე , კომერციული
კ1- 0.4 ; კ2- 2.1 ; კ3-0.3
შენობის მინის ზემოთ სართულიანობა მ შესაძლოა მოეწყოს ტექნიკური სართული იიფტისთვის და სახურავზე მოსახვევლად
ნაკეთი ზომები +- 173 / +- 253
ნაკვეთი მაერთიანდეს პროექტის შუთანმების სტადიაზე
მინიმალური ავტოსადგომების რაოდენობა 472 ავტოსადგომი
ნაკვეთების განთავსდეს 14-39 დადგენილების შესაბამისად მოცემული კონდურში შესაძლოა კონსოლური დამფუძებები

M E T R I C
L.T.D. METRIC

შპს "მეტრიკ", თბილისი ზ.აფაღიანშვილის 23.
(+995 595) 20 71 40, (+995 551) 71 66 17

პირობითი აღნიშვნები

ტექნიკურ ეკ. მაჩვენებელი

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
გენ. დირექტორი	კ.ურუშაძე	
აღმ. დირექტორი	დ.გაგნიძე	
ავტორი	კ.ურუშაძე	
თანაავტორი	კ.ურუშაძე	
დამფუძნა	კ.ურუშაძე	
შეამოწმა	დ.გაგნიძე	

დამკვეთი: შპს დეკა

პროექტი: მანამდენიანები რეზიდენციების კომპლექსი

ნახაზი: უფლებრივი ზონირების რუკა

მისამართი: ქ.თბილისი, ქერა ნოდარის #34

მასშტაბი	1:500
თარიღი	02.02.2021

სტადია	ფურცლები	ფურცლების
მ.პ	A-1	

M E T R I C
L.T.D. METRIC

შპს "მეტრიკ", თბილისი ზ.აფაღიანგვიანის 23.
(+995 595) 20 71 40, (+995 551) 71 66 17

პირობითი აღნიშვნები

- ნარმოსახვითი სამეზობლო მიწა
- ღიობის მოწყობის შესაძლებლობა
- ღიობის მოწყობის აკრძალვა

ტექნიკურ ეკ. მაჩვენებელი

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
მენ. დირექტორი	ქ.ჯოჯუაძე	
აღმ. დირექტორი	დ.გაბნიძე	
აუდიტორი	ქ.ჯოჯუაძე	
მთანაამდგილი	ქ.ჯოჯუაძე	
დამფუძნე	ქ.ჯოჯუაძე	
მეუღლეობა	დ.გაბნიძე	

დამკვეთი: შპს ღუქა

პროექტი: მანამდენიანების რეზიდენციის გეგმა

ნახაზი: სიმაღლის მანსაზღვრის სქემა და ნარმოსახვითი მოცულობა

მისამართი: ქ.თბილისი, ჟვანა ნოდიაძის #34

მასშტაბი	1:500	
თარიღი	02.02.2021	
სტადია	ფურცელი	ფურცლები
მ.პ	A-1	